საქართველოს ბანკი
ბიზნესი

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #PE43208-18

თბილისი 05 ოქტომბერი 2018 წელი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი“)
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს ვექტორ - სტუდიო + (შემდგომში „პრინციპალი“)
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 404418019
პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ.აღმაშენებლის გამზ., № 55/1, ბ. 20
ბენეფიციარი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში „ბენეფიციარი“)
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 211343982
ბენეფიციარის მისამართი:საქართველო, თბილისი, აღ. ყაზბეგის გამზ. #12
საგარანტიო თანხა: 28,500 (ოცდარვა ათას ხუთასი) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა 2018 წლის 17 სექტემბერს გააფორმა ბენეფიციართან ხელშეკრულება #ადგრ.საპრ. #2-18, ქ. რუსთავის მიმდებარედ არსებული იაღლუჯის მთის ფერდობებზე ფორმირებული ღვარცოფული ნაკადებისაგან ქალაქის ქუჩებისა და საცხოვრებელი მიკრორაიონების დაცვის მიზნით, ქ. რუსთავის ღვარცოფული ნაჯადებისაგან დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების (ქვემოთ, როგორც "ხელშეკრულება") შესრულებაზე. ხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე, პრინციპალმა ქ. რუსთავის მიმდებარედ არსებული იაღლუჯის მთის ფერდობებზე ფორმირებული ღვარცოფული ნაკადებისაგან ქალაქის ქუჩებისა და საცხოვრებელი მიკრორაიონების დაცვის მიზნით, ქ. რუსთავის ღვარცოფული ნაჯადებისაგან დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურების მიზნით იკისრა ვალდებულება წარუდგინოს ბენეფიციარს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საბანკო გარანტია.

ბენეფიციარის მოთხოვნით, ჩვენ, სს "საქართველოს ბანკი" (სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო), უპირობოდ ვიღებთ ვალდებულებას გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები, რომლებიც ჯამში არ აღემატება 28,500 (ოცდარვა ათას ხუთასი) ლარი . თანხის გადახდა მოხდება ჩვენს მიერ გარანტიასთან შესაბამისობაში მყოფი ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე მომდევნო 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში, რომელშიც მითითებული იქნება, რომ კონტრაქტორმა დაარღვია კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება (ვალდებულებები), ბენეფიციარის მხრიდან დამატებითი მტკიცებულების დოკუმენტების წარმოდგენის ან დასაბუთების საჭიროების გარეშე.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 30 აპრილი 2019 წელი, (შემდგომში „გარანტიის მოქმედების ვადა“). შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით. ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ, თბილისის დროით (UTC / GMT +04: 00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ.#29ა, თბილისი 0160, საქართველო.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები და კონკრეტული გარემოება, რომლის გამოც ხდება მოთხოვნის წარმოდგენა.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,

ეთერ ჩხეიძე

გარანტიების სამსახურის უფროსი

სს „საქართველოს ბანკი“
საქართველო, თბილისი 0160
გაგარინის ქ. №29ა
www.corporate.ge
(0 32) 2 444 444

5588